საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე
გიგი გიგიაძე

გიგი გიგიაძე დაიბადა 1978 წლის 11 აპრილს. 2001 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით და მოიპოვა მაგისტრის ხარისხი. იმავე წელს შეუდგა დიპლომატიურ საქმიანობას და 2003 წლამდე პირველ ევროპულ დეპარტამენტში გერმანულენოვან ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაზე იყო პასუხისმგებელი.
2003-2007 წლებში გიგი გიგიაძე საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში მუშაობდა პოლიტიკური და ორმხრივი საკითხების მრჩევლის თანამდებობაზე. მოგვიანებით კი, 2005 წლის იანვრამდე, ხელმძღვანელობდა ათენში საქართველოს საელჩოს საკონსულო განყოფილებას.
2007-2012 წლებში გიგი გიგიაძე სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპულ საქმეთა დეპარტამენტში, ბოლოს კი დეპარტამენტის დირექტორიც გახდა.
2012 წელს დაინიშნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

ანა კვანჭილაშვილი
საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამსახურის უფროსი
577 42 20 09
ana.kvanchilashvili@iliauni.edu.ge

2013 წლის თებერვლიდან 2014 წლის იანვრამდე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში ასრულებდა საქმეთა დროებითი რწმუნებულის მოვალეობას. 2014 წლის ნოემბრიდან გიგი გიგიაძე გახდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, რომელიც პასუხისმგებელია ევროკავშირსა და ევროპის ქვეყნებთან ორმხრივ ურთიერთობაზე და კურირებს სამინისტროსთან არსებული დიპლომატიური ტრენინგცენტრის საქმიანობას,

გიგი გიგიაძე საუბრობს ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენებზე. ძალიან უყვარს ცურვა და წარსულში წყლის პოლოსაც მისდევდა.

ანა კვანჭილაშვილი
საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამსახურის უფროსი
577 42 20 09
ana.kvanchilashvili@iliauni.edu.ge